



ვებ გვერდი

29/04/2015

სარეგისტრაციო კოდი

010260020.35.152.016217

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N10

2015 წლის 24 აპრილი

ქალაქი დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების თაობაზე“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტების, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1.

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები „დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების თაობაზე“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის N25 დადგენილებაში (matsne.gov.ge; 03/10/2014; 010260020.35.152.016189). კერძოდ, დადგენილების დანართი N1-ის სახით დამტკიცებული „დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების“

ა) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-6 მუხლის პირველი პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი: „მუნიციპალური შესყიდვების სამსახური“;

დ) მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „გამგებლის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის; ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის; საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის; მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის; ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის; განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის კომპეტენციაში შემავალ დარგებსა და საკითხებს;“

ე) მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „გამგებლის მოადგილე ხელმძღვანელობს გამგეობის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის; სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის კომპეტენციაში შემავალ დარგებსა და საკითხებს;“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი